ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N01/181-17

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **09 ოქტომბერი 2017 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ ,,იუსტიციის უმაღლესი სკოლა", (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბეჟან თურმანიძის სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ეროვნული არქივის დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსის, ნოდარ მამალაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მესამე პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსყიდველის 1998-2010 წლების საარქივო დოკუმენტების (მათ შორის: ლიკვიდირებული სამოსამართლო სწავლების ცენტრის საარქივო დოკუმენტების) სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება (CPV: 79995100 საარქივო მომსახურებები), რომელიც, საჭიროების გათვალისწინებით, მოიცავს:

ა) დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაციას წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკულ ექსპერტიზას;

გ) საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაციას, საბუთების შედგენას, საქმეების შეკერვას და ფურცლების ნუმერაციას;

დ) ყდების გაფორმებას, დამოწმებული ფურცლების ჩაწებებას, შესანახ საქმეთა სისტემატიზაციას, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფას და შესაბამისი აქტის შედგენას;

ე) მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერებას, შენაკრავების განლაგებას სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევას.

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 3500,00 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებს გათვალისწინებით.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების „2.1" პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4 მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3 თუკი, ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარისსწორება ხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

3.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს სსიპ "იუსტიციის უმაღლესი სკოლის" საქმისწარმოების მთავარი სპეციალისტი ნათელა ბიჩინაშვილი.

3.5 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი ნ.ბოხუას ქ. N19 სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული დათქმის შესაბამისად;

ბ) მოთხოვოს შემსყიდველს შეუქმნას მომსახურების გაწევისთვის სათანადო პირობები.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დათქმული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელისათვის სამუშაო ოთახის გამოყოფა და შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

მოთხოვოს მიმწოდებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

მუხლი 5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ობიექტის ნაწილის და წუნდების მითითებით.

5.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ "იუსტიციის უმაღლესი სკოლის" საქმისწარმოების მთავარი სპეციალისტი ნათელა ბიჩინაშვილი.

5.5 ხელშეკრულების ინსპექტირებას მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

მუხლი 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

6.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზ-რდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
6.4 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და პირობებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ან აზრს კარგავს დამატებითი ვადის გამოყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა).
6.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
6.6 ხელშეკრულება ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
7.2 დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში მომსახურების გაუწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
7.3 დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. დავის გადაწყვეტა

9.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
9.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. დასკვნითი დებულებები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი მიმწოდებელს.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ,,იუსტიციის უმაღლესი სკოლა"
ქ.თბილისი, ნ.ბოხუას #19; ს/კ:205146493
ტელ: 238 11 61;
ელ-ფოსტა: vtchitchagua@hsoj.ge
სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის კოდი:TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

_____

ბეჟან თურმანიძე

მიმწოდებელი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგარიშის № 707447080
ს/კ 211358957

დაწესებულებების დოკუმენტების
სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების
განყოფილების უფროსი

_____

ნოდარ მამალაძე